პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 11 (12523) | კვირა, 13 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

12 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა იდეოლოგიურ დაწესებულებათა მუშაკების თათბირი, რომელიც მიეძღვნა ჩვენი პარტიის ახალ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და თეორიულ დოკუმენტს — გაზეთ **„პრავდის“** სარედაქციო სტატიას **„განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“.**

თათბირს დაესწრნენ პოლიტიკური განათლების სისტემის ლექტორები და პროპაგანდისტები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. გ. სტურუამ;**

მოხსენება — კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის და რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა ამოცანები გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **დ. ს. ზემლიანსკიმ, გ. ა. გეგეშიძემ, შ. ი. ჭანუყვაძემ.** (საქდესი).

ცხოვრების მხარდამხარ

„სხვა ხელოვნებათა შორის კინო უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის“ — ასე განსაზღვრა დიდმა ლენინმა კინოს როლი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. საბჭოთა წყობილების განვითარების ყველა პერიოდში პარტია დიდ ყურადღებას იჩენდა კინემატოგრაფიისადმი. მაგრამ საბჭოთა კინოს განვითარება ყოველთვის სწორხაზოვანი და თანაბარი არ იყო. პიროვნების კულტის პერიოდში საბჭოთა კინემატოგრაფიის ზრდა და განვითარება საგრძნობლად შეფერხდა. იმ პერიოდში საქართველოს კინოხელოვნება წლების მანძილზე მოკლებული იყო მხატვრული ფილმების წარმოების საშუალებას და მისი ერთ დროს საქვეყნოდ განთქმული შემოქმედებითი კადრების დუმილს ბოლო არ უჩანდა.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ, როდესაც ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში აღდგენილ იქნა ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, ჩვენი კინოხელოვნება გამოვიდა ჩიხიდან და ახალი აღმავლობის გზაზე დადგა.

ქართულმა კინემატოგრაფიამ უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნა ოთხმოცდაათზე მეტი მხატვრული ფილმი. უფრესობა ამ ფილმებისა ასახავს დღევანდელ დღეს. მართალია, ყველა ფილმი არ დგას მაღალ მხატვრულ დონეზე, რაც სამართლიანად აღნიშნა მაყურებელმაც, მაგრამ ყოველი რეჟისორი ცდილობს ახალი ფორმის, ახალი გამომსახველობითი საშუალებების მიგნებას და ამდენად არც შეცდომისაგან არის დაზღვეული. მართალია, ქართულმა კინოხელოვნებამ შექმნა არა ერთი ფილმი, რომელიც ახლებურად წყვეტდა ჩვენი დროის აქტუალურ თემებს, მაგრამ ნამდვილად შეუცდებით, რომ დავკარგოთ თვითკრიტიკის უნარი და არ ვამჩნიოთ ჩავარდნები, რომლებიც დამახასიათებელი აღმოჩნდა არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიისათვისაც. ალბათ ფილმების წარმოების ზრდის პერიოდისათვის ეს მოვლენა კანონზომიერი იყო.

კინემატოგრაფისტთა კავშირი, რომელიც ჯერ კიდევ საორგანიზაციო პერიოდში იმყოფებოდა, ყოველმხრივ ცდილობდა შებრძოლებოდა ტრაფარეტულ, დაშტამპულ მოვლენებს ქართულ კინემატოგრაფიაში, რომელსაც ხელოვნის ცივი ხელი ეტყობოდა.

კინემატოგრაფიული საზოგადოებრივი აზრი იბრძოდა სცენარებსა და ფილმებში ასახული ყოფილიყო რეალური ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების მართალი ხასიათი, იბრძოდა თანამედროვე თემის მაღალ-იდეურ მხატვრულ დონეზე გადაწყვეტისათვის.

სიკო დოლიძე,
საქართველოს კინომუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე

ძველი კინომუშაკების მ. ჭიაურელის, ლ. ესაკიას, დ. რონდელის, ნ. სანიშვილის, ნ. პიპინაშვილის, შ. მანაგაძის, შ. გედევანიშვილის, ლ. ხოტივარის, შ. მართაშვილის, ზ. გუდავაძის გვერდით დადგნენ რეჟისორები თ. აბულაძე და რ. ჩხეიძე, ხოლო უფრო მოგვიანებით ახალგაზრდობის მთელი პლეადა — ლ. ღლონტერიძე, ე. შენგელაია, ი. ქავთარაძე, თ. მელიავა, მ. კოკოჩაშვილი, ო. აბესაძე, გ. შენგელაია, გ. წულაია, ნ. ნენოვა, ლ. გორდელაძე და სხვები.

დღეს ქართულ კინემატოგრაფიას ჰყავს შესანიშნავი ახალგაზრდა ოპერატორთა კადრები — ფ. ვისოცკი, ლ. პაატაშვილი, ტ. კალატოზიშვილი, ა. ფილიპაშვილი, ლ. სუხოვი, დ. მარგიევი, ი. რიმკოვი, შ. კილაძე, გ. რაჭველიშვილი, გ. უსეინაშვილი, ბ. ბურავლოვი და სხვები.

უფროსი თაობის მხატვრებთან ს. ვაწაძესთან, რ. მირზაშვილთან, დ. თაყაიშვილთან ერთად წარმატებით მუშაობენ ახალგაზრდა მხატვრები კ. ხუციშვილი, გ. გიგაური და სხვები.

ახალგაზრდობის მოსვლით კინოში მოხდა ნოვატორული საწყისების აქტივიზაცია. ამან გამოიწვია ერთგვარი შეჯიბრება ახალგაზრდობასა და უფროს თაობას შორის. მაგრამ საბჭოთა ხელოვნების ბუნება ის არის, რომ ნოვატორობა გულისხმობს საბჭოთა კინოხელოვნების რევოლუციური ტრადიციების გაგრძელებადაგრძელებას. ეს კი მოითხოვს ახალი თემების, ახალი ფორმისა და გამომსახველობით საშუალებათა დაუცხრომელ ძიებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მთელი სიღრმით გადმოსცე კომუნიზმის ეპოქისა და მისი მშენებელი ადამიანის მშვენიერება და მიმზიდველობა. ჩვენ ვებრძვით მხოლოდ უმიზნო ტრიუკებით, უაზრო რაკურსებითა და მონტაჟის კალეიდოსკოპურობით დაბაცებას.

გასული წლის 17 დეკემბერს ხელოვნების მუშაკებთან პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ამ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლასა და ამხ. ლ. თ. ილიჩოვის სიტყვაში ახალი ძალით გამოვლინდა ხელოვნებისადმი ჭეშმარიტად ლენინური მიდგომა. ერთხელ კიდევ ნათლად დავინახეთ, რომ ჩვენს ხალხს სჭირდება დიდი და მართალი იდეების ნამდვილი ხელოვნება და არა ზოგიერთი ჭკუანაღრძობი აბსტრაქციონისტის ნათხუბნი.

ამხ. ილიჩოვმა აღნიშნა, რომ „ფორმალისტური ტენდენციების გავრცელება, სამწუხაროდ, დაიწყო არა მარტო სახვით ხელოვნებაში, არამედ მუსიკაშიც, ლიტერატურაშიც, კინემატოგრაფიაშიც“. „კინემატოგრაფიაში, — ამბობს ილიჩოვი, — სადაც შესამჩნევია საერთო შემოქმედებითი აღმავლობა, გამოწვეული კეთილმყოფელი გარდაქმნით ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, გამოჩნდება ხოლმე იდეურად მოუმწიფებელი ნაწარმოებები, ფილმები, რომლებსაც ახასიათებთ განზრახი დახვლეპნილობა, ფორმის გართულებულობა და რომლებსაც, ამიტომ მაყურებელი უარყოფს“.

ზოგიერთი ჩვენი შეცდომა მხოლოდ ძიებისათვის დამახასიათებელი შეცდომაა და არა სოციალისტური რეალიზმის ტრადიციების დარღვევა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგულებით მოიპოვა საბჭოთა კინემატოგრაფიამ მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური, მოწინავე კინოხელოვნების სახელი. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ კომუნისტური პარტია კინოხელოვნებაში ხედავს მშრომელთა მილიონიანი მასების იდეური აღზრდის, კულტურის ამაღლების და მხატვრული განვითარების, მათი მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ წყაროს.

ახლა ამოცანა ის არის, რომ პარტიის მოწოდების თანახმად უკუვაგდოთ ერთფეროვნება, ხელი მოვკიდოთ თანამედროვეობის ეშმარიტად მაღალმხატვრულად ასახვას.

საბჭოთა სინამდვილემ დაბადა დიდი საქმის შემოქმედი დიდი ადამიანები, რომელთა სულიერი სამყაროს გახსნა, სილამაზის ჩვენება ჩვენ, ხელოვნების მუშაკებს, გვევალება. ამისათვის საჭიროა ჩვენი ცხოვრების ღრმა ცოდნა და მისი ყოველმხრივ შესწავლა. მაშინ იგი თვითონ გიკარნახებს უამრავ თემასა და მასალას. ხელოვანმა ნიჭი უნდა დაძაბო, რომ სათანადო მხატვრულობით აამეტყველო ჩვენი ცხოვრება ეკრანზე.

კინემატოგრაფისტთა კავშირის, როგორც შემოქმედებითი ორგანიზაციის, პირდაპირი ამოცანა იყო დაერაზმა კინომუშაკები ჩვენი კინოხელოვნების მხატვრულ-იდეური და ტექნიკური დონის ასამაღლებლად, ხელი შეეწყო მისი ზრდისა და წინსვლისათვის.

დღეს საქართველოს კინომუშაკთა კავშირი ერთ-ერთი მოწინავე რგოლია საბჭოთა კავშირის კინოხელოვნების მუშაკთა კავშირისა.

დღეისათვის ჩვენი კავშირის წევრია 150 კინემატოგრაფისტი: რეჟისორები, ოპერატორები, მსახიობები, ხმის ოპერატორები, რედაქტორები და სხვ. კავშირი დაყოფილია შემოქმედებით სექციებად. სექციების უპირველესი მოვალეობაა კავშირის წევრთა და კინომუშაკთა აქტივის ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათი დარაზმვა ჩვენი ფილმების იდეურ-მხატვრული ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კინომუშაკთა დამფუძნებელ ყრილობას ქართული კინემატოგრაფია სათანადო წარმატებით ხვდება. ჩვენი ფილმები ინტერესს იწვევდა იმთავითვე. დღეს კი ეს ინტერესი უფრო გაიზარდა. არაერთ ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმს მოუპოვებია ოქროს მედლები, საპატიო დიპლომები საერთაშორისო კინოფესტივალებზე კანაში, ედინბურგში, კარლოვი ვარში.

ქართველ კინემატოგრაფისტებს უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ხელოვანთა შემოქმედება ღირსეულად უნდა მონაწილეობდეს ორი იდეოლოგიის — ბურჟუაზიული და კომუნისტური იდეოლოგიის შეჯახებაში. ამ ბრძოლაში ჩვენ უნდა ვეწეოდეთ არა თავდაცვას, არამედ შეტევას, მაგრამ შეტევა ნიშნავს — მთელი ხმით ვლაპარაკოთ ხელოვნებაში სოციალისტური ცხოვრების უპირატესობაზე, ბურჟუაზიული სამყაროს გახრწნაზე, კომუნიზმის იდეების სიმშვენიერესა და სიდიადეზე.

ხვალინდელი დამფუძნებელი ყრილობა სერიოზულად იმსჯელებს როგორც ჩვენს წარსულ მუშაობაზე, ისე ჩვენი მომავალი მუშაობის უადრესად პასუხსაგებ ამოცანებზე.

მართალია, ქართულ კინემატოგრაფიას მიღწევები აქვს, მაგრამ ბევრი აქვს ნაკლიც, რაც ხელს უშლის ჩვენ წინსვლას. ამაზე თვალის დახუჭვით, მათი მიჩქმალვით საქმეს ვერ ვუშველით. ამიტომ მათი პირდაპირი და გულახდილი მხილება გვმართებს.

ქართულმა კინოხელოვნებამ უნდა იაროს საბჭოთა კინოს შემოქმედების გენერალური გზით. ეს გზაა განუყრელი სიახლოვე და მჭიდრო კავშირი ხალხთან, მის ინტერესებთან, ეს გზაა კინოხელოვნების განთავისუფლება უშინაარსო ამბებისა და ფორმალისტურ-აბსტრაქციონისტული ტენდენციებისაგან. ეს არის გზა სოციალისტური რეალიზმისა.

შრომითს ვახჯზე

დაზოგილი მასალით

თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შრომის კარგი სტარტი აიღო. თებერვლები დღის საწარმოო დავალება შესრულებულია 101,4 პროცენტით. ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით ორი მილიონი პაპიროსი და სიგარეტი გამოუშვა. ამ დროის მანძილზე დაზოგილია 1.535 კილოგრამი თამბაქო, რომლიდანაც დამატებით შეიძლება დამზადდეს მილიონნახევარი ცალი პაპიროსი.

პაპიროსის დამამზადებელმა სამაჯრომ, რომელსაც თ. ნიშნიანიძე უძღვება, 11 დღეში გეგმის გადაჭარბებით 1.800 ათასი ცალი პაპიროსი გამოუშვა. ბრიგადებს შორის ყველაზე მეტად დაწინაურდა გ. სარჭისოვის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელმაც გეგმის ზევით უკვე მოგვცა 786 ათასი ცალი პაპიროსი. მოწინავე ბრიგადების რიგებში არიან სიგარეტის დამამზადებელი საამჯროს ნ. ძიძიგურის და პაპიროსების დამამზადებელი საამჯროს ი. პეტროვის ბრიგადები.

მგზნებარე გულით

ახალგაზრდა მეყამირეებმა, მეორე სამხარეო შეკრების მონაწილეებმა, მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ჩვენ ყამირის მხარის ჭაბუკები და ქალიშვილები, წერენ შეკრების მონაწილენი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, მადლობელი ვართ, ჩვენი დიდი კომუნისტური პარტიისა, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადად თქვენი, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძვ, უდიდესი ნდობისათვის, იმისათვის, რომ კომკავშირელებს და ახალგაზრდობას დაეკისრათ პასუხსაგები ამოცანები, რომლებსაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

სიტყვას გაძლევთ, წერენ ყამირელები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძვ, რომ დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც დასახულია ყამირის მხარის მშრომელთა წინაშე, წარმატებით გადაიჭრება. ახალგაზრდა გულის მთელ მგზნებარებას, ჩვენი შრომისმოყვარე მარჯვენის ძალას მოვახმართ ბრძოლას, რომ ყამირის მთელი რეზერვები გამოვიყენოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

შეჯიბრება განაახლებს

ჭიათურა (საკ. კორ.). მტკიცდება და დუღაბდება ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელთა მეგობრობა, რომელიც სამი ათეული წელია გრძელდება.

გასულ ზაფხულს ჭიათურაში იმყოფებოდნენ ნიკოპოლელი მაღაროელები. მათ შორის იყო ნიკოპოლის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მბურღველთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვიქტორ ციკინი. მან ინახულა მაღარო ახალი ითხვისის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ნოვატორი მბურღავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ბაქრაძე. მეგობრებმა გულღიად ისაუბრეს, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი საწარმოო გამოცდილება და ურთიერთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაც გაფორმეს.

ახალი წლის პირველ დღეებში უკრაინიდან ჭიათურაში ბარათი მოვიდა. ნიკოპოლელი მეგობარი ჭიათურელ გ. ბაქრაძეს წერს:

„ძვირფასო ამხანაგო გიგა! (შინაურულად ასე ეძახიან გიორგი ბაქრაძეს) ბევრი კარგი მოგონება დამრჩა თქვენს მაღაროში სტუმრობაზე. ნიკოპოლში დაბრუნებისას მე სიხარულით მოვახსენე თქვენს ბრიგადასთან შეჯიბრებაში ჩაბმის ამბავი. ყველა მადაროელმა სიამოვნებით დამიჭირა მხარი. გახსოვთ, ამხანაგო, როგორ გადავწყვიტეთ, რომ უკეთ გვემუშავა? ჩვენ სიტყვა გავანაღდეთ. სიხარულით შემიძლია გაცნობოთ, რომ ჩვენი ბრიგადა კვლავ ინარჩუნებს პირველობას“.

დასასრულ ნათქვამია: „ჩვენი საწარმოო მაჩვენებლები შვიდწლეულის მეხუთე წელში უფრო გაიზრდება. გვაინტერესებს, როგორ მუშაობს თქვენი ბრიგადა, გაგვიზიარეთ გამოცდილება. ჰეშაობია გამოცდილების ორმხრივი გაზიარება დაგეხმარება ვიმუშაოთ ისე, როგორც დასახულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

სალამი თქვენი ბრიგადის კოლექტივს, ყველა ჭიათურელ მაღაროელს, მაგრად გართმევთ ჩვენს მუშურ ხელს. გულწრფელი პატივისცემით ვიქტორ ციკინი“.

მეგობრული ბარათი წაიკითხეს გ. ბაქრაძის ბრიგადაში. მან ყოველ მაღაროელ-მბურღველ-ბანკაურ-ბანკაურ-ბანკაურ

პარტიულები ცხოვრება

უფრო ახლოს წარმოებასთან

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ლეხურა ასეთი წყალუხვი, როგორც ახლა, იშვიათად უნახავთ. იგი მაინც აუჩქარებლად მოედინება ვიწრო კალაპტში, ისე, როგორც ფიქრებთან შეპყრობილი ადამიანი, შეუმჩნეველად მიაბიჯებს ფართო გზაზე.

ზამთრის დილაა. კასპის ქუჩები ხალხის მოძრაობამ აახმაურა. მშობლიური საწარმოსაკენ მიემართებიან ცემენტის ქარხნის მუშები, თავიანთი დაწესებულებანი **ს ა კ ე ნ** მიდიან კულტურისა და განთლების, ვაჭრობის მუშაკები. მათი პროფესია სხვადასხვაა, მიზანი კი ერთი — კომუნიზმის ნათელი შენობის აგება.

კულტურის სახლის წინ ადამიანთა ერთი ჯგუფი საუბრობს, მათ დროდადრო სხვებიც ემატებიან. ზოგი მათგანი დღეს ერთმანეთს პირველად ხვდება, ისინი საერთო საქმემ ახლო

თანამედროვეობის გზით

სხვა ხელოვნებათა შორის კინო უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

ვ. ი. ლენინი

ჩვენი ფილმები საერთაშორისო ფესტივალებზე

მსოფლიო კინოხელოვნების დათვალიერებებზე სხვადასხვა საკატიო ჯილდოებით ალინიშნა ქართველ კინოოსტატთა მხატვრული ნამუშევრები: „ელისო“ — შტუტგარტში (1929), „მაგდანას ლურჯა“ — კანსა და ედინბურგში (1956), „ორი ოკეანის საიდუმლოება“ — ვენეციაში (1957), „ჩვენი ეზო“ — მოსკოვში (1958), „ოთარაანთ ქვრივი“ — ვენეციაში (1958), „სხვისი შვილები“ — ლონდონსა და ჰელსინკში (1959), „ბანძი“ — დელიში (1961); მულტიპლიკაციური ფილმი „საყვირის შემდეგ“ — სან-ფრანცისკოში (1961); დოკუმენტური სურათები: „უშბა“ — ვენეციაში (1947), „ალაზნის ველი“ — ვენეციაში (1956), „პამირის მწვერვალებზე“ — მონტევიდეოში (1959); სამეცნიერო-პოპულარული ფილმები: „ბანწყობილების როლი ცხოველთა ქცევებში“ — ლონდონში (1946) და „ერთი ცდის ისტორია“ — პარიზში (1961).

ჩვენი „ქართული ფილმი“

ქართული კინოხელოვნების ნახევარსაუკუნოვანი ისტორია უაღრესად მდიდარია თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული გამოსახვის საშუალებებით. კინომუშაკების პირველი თაობის თავდადებულმა მოღვაწეობამ ქართულ კინემატოგრაფიას იმთავითვე მოუპოვა დიდი პოპულარობა. ყოველ ახალ თაობას მოჰქონდა ახალ-ახალი გამარჯვება. ათეული წლების მანძილზე შეიქმნა ქართული ფილმების ოქროს ფონდი. ქართულ ფილმებს უჩვენებენ არა მარტო ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, არამედ უცხოეთის ორმოცდაათზე მეტ სახელმწიფოში. ზოგი მათგანი დაჯილდოებულია საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე. ამ მიღწევებისათვის საბჭოთა მთავრობამ თბილისის კინოსტუდია ლენინის ორდენით დააჯილდოვა და ყველა პირობა შეუქმნა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის გასაშლელად.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე საწარმოო ბაზის მშენებლობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, პარტიისა და მთავრობის მიერ ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარებაზე ზრუნვის ახალი დადასტურებაა. ჩვენ მოვალენი ვართ უფრო მეტი და თვალსაჩინო შემოქმედებითი მიღწევებით ვუპასუხოთ ამ მზრუნველობას, შევქმნათ ჩვენი ეპოქისა და კომუნიზმის მშენებელი ხალხის გმირული საქმეების ამსახველი ნაწარმოებები.

საბჭოთა ხალხი აღტაცებით ხვდება ყოველ ახალ, კარგ ფილმს, ამასთანავე სამართლიან საყვედურსაც გამოთქვამს ეკრანებზე გამოსული სუსტი და უფერული ნაწარმოებების გამო. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ყოველ კინომუშაკს.

თუ მსოფლიო კინოხელოვნების გრანდიოზულ შეჯიბრებაში ხშირად ქართული ფილმებიც მოიპოვებენ ხოლმე გამარჯვებას, ეს დიდი და საპატიო საქმეა.

მცირედ გამონაკლისს გარდა, ყველა ქართული ფილმი მიდის საკავშირო ეკრანზე, ექვს მათგანს მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია, ათი ფილმი დაჯილდოებულია მსოფლიო ფესტივალებზე. ეს იმ დროს, როცა „ქართული ფილმი“ ჯერჯერობით წელიწადში მხოლოდ 7-8 სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს უშვებს. ქართული კინემატოგრაფიის ამ უდავო მიღწევებისადმი ზედმეტად სკეპტიკური, ზოგჯერ ნიჰილისტური დამოკიდებულება, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი კრიტიკოსი იჩენს, არაფრით არ არის გამართლებული. ადვილი როდია 7-8 ფილმით შეეჯიბრო რამდენიმე ასეული ფილმს, რომელთაც საბჭოთა ეკრანზე უჩვენებენ, მხარი გაუწოროო მათს მხატვრულ დონეს და ზოგჯერ გამარჯვებულიც გამოხვიდე მათთან ცილობაში.

არც ქართველ კინემატოგრაფისტებს აქვთ თვითდამშვიდების უფლება. მათი მოვალეობაა უფრო აამაღლონ ქართული ფილმების იდეურ-მხატვრული დონე, ბოლო მოუღონ სუსტი, უფერული სუსტ ფილმებს, ზრუნონ ნიჭიერ ადამიანთა ახალ-ახალ ჯგუფებზე, ამ საქმით დაინტერესებული მუშაკები. საჭიროა მათი შემოქმედებითი შრომის მაქსიმალურად გამოყენება, სტუდიის სარეპერტუარო პოლიტიკის სწორად წარმართვა, კინოწარმოების რაციონალური ორგანიზაცია, რომ ყველამ ღირსეულად შეასრულოს თავისი საპატიო მოვალეობა.

საქართველოს კინემატოგრაფისტები მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდებიან თავიანთ პირველ, დამფუძნებელ ყრილობას. 1962 წელს წარმატებით დამთავრებული ფილმები, რომელთაც ელოდება მაყურებელი, გამოირჩევიან თემატური სიონალი, ამ საქმით დაინტერესებული მუშაკები. საჭიროა მათი შემოქმედებითი შრომის მაქსიმალურად გამოყენება, სტუდიის სარეპერტუარო პოლიტიკის სწორად წარმართვა, კინოწარმოების რაციონალური ორგანიზაცია, რომ ყველამ ღირსეულად შეასრულოს თავისი საპატიო მოვალეობა.

ყრილობის დღეებში უჩვენებენ რეჟისორ თ. აბულაძის კომედიას „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, გადაღებულს ნ. დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ამ დღეებში ქართველი მაყურებლები ნახავენ რეჟისორ ი. კოკოჩაშვილის ფილმს „არდადეგებს“, რომელსაც შეუძლია გაეცნოს აზიის, ევროპის, ამერიკისა და აფრიკის სხვადასხვა სახელმწიფოს და ხალხებს. აქ თქვენ იხილავთ უკანასკნელ საერთაშორისო გამოფენას ბრიუსელში და იმას, თუ როგორ იყო წარმოდგენილი ამ გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკა (ფილმი „ბრიუსელის გამოფენაზე“, 1958 წ.).

საქართველოს ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის ტრიუმფალური გასტროლები ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში აისახა ფილმში „მსოფლიო ტაშს უკრავს“. ამერიკის დღევანდელ სახეს და მის სოციალურ კონტრასტებს წარმოგვიდგენს ფილმი „ნაირსართულიანი ამერიკა“. აფრიკის ხალხების შეუპოვარ განმათავისუფლებელ ბრძოლას აეცოცხლებს მაყურებლის წინაშე ფილმები „ალჟირის დღიური“ და „მაროკოს მიწაზე“, რომლებიც გასულ წელს გამოუშვა სტუდიამ. ოთხივე ეს ფილმი შექმნილია რეჟისორ-ოპერატორის გ. ასათიანის და ოპერატორ ო. დეკანოსიძის მიერ. აღსანიშნავია, რომ ფილმები „ნაირსართულიანი ამერიკა“ და „ალჟირის დღიური“ წარდგენილია 1963 წლის ლენინური პრემიის მოსაპოვებლად.

უკანასკნელი 4 წლის მანძილზე სტუდიამ გამოუშვა დაახლოებით 100 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი და 7 სრულმეტრაჟიანი ფილმი.

სტუდიაში დაწინაურდნენ და აღიზარდნენ ახალგაზრდა რეჟისორები თ. ნოზაძე, ო. გურგენიძე, რ. ჭიაურელი, ზ. კაკაბაძე და კინოოპერატორები შ. შოშელი, თ. მეგრელიშვილი, ი. ბარამიძე და სხვები.

კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის პირველ დამფუძნებელ ყრილობას დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის შემოქმედებითი პერსონალი ხელდამშვენებული ხვდება. დარწმუნებული ვართ, ყოლობა ხელს შეუწყობს კინოხელოვნების ყველა დარგის შემდგომ განვითარებას საქართველოში.

ვ. კუპრავა,

საქართველოს სსრ დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის დირექტორი.

დრო გვაჩვენებს

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკებს შემოქმედებითი ცხოვრების 42 წლის მანძილზე არა ერთი საზეიმო დღე ჰქონიათ. გვახსოვს ბევრი სასიხარულო წუთი, რომელიც შემდეგში ჩვენი კინოხელოვნების ზრდისა და განვითარების დიდ სტიმულად ქცეულა.

დიახ, ბევრი იყო ასეთი დღე, მაგრამ თავისი ღრმა აზრით, მნიშვნელობით, შინაგან შამოძრავებელ ძალთა სიუხვით, აღმაფრთოვანებელი თვისებებით, ვეჭვობ, რომ რომელიმე მათგანი 1963 წლის 14 ივნისს დღეს შეედაროს.

ამ დღეს იხსნება საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა. ეს არის განუსაზღვრელი სიხარულის დღე ქართული კინოხელოვნების თვითეული მუშაკისათვის.

მახსოვს, კინოორგანიზაციები წინათაც გვქონდა. ერთი მათგანი იყო საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოება, ნებაყოფლობითი ხასიათის საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა ყველა მსურველს, ვისაც კი საბჭოთა კინოხელოვნება უყვარდა, თავს ბის მეგობრად თვლიდა. საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპზე მან თავისი როლი პირნთლად შეასრულა, მაგრამ გაუქმდა, როგორც უკვე ახალი დროისა და პირობებისათვის შეუფერებელი ორგანიზაცია.

იყო არკ-ი — რევოლუციური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია. ეს იყო უკანასკნელი სამხატვრო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა საბჭოთა კინოს მუშაკებს.

ახლაც მახსოვს ამ ორგანიზაციაში ჩემი მიღება. 1930 წელი. ვავსებ ანკეტას. ერთი კითხვა ასეთია: ასოციაციაში შესვლის მიზანი? ვეპასუხები: „რათა კინოს საშუალებით ვემსახურო პროლეტარულ მასებს“. დიახ, ყველას სურდა „პროლეტარული მასებისადმი“ ანუ ხალხისადმი სამსახური, მაგრამ, როგორც ცნობილია, რევოლუციური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია მისი მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში ასცდა თავის ნამდვილ მიზანს, ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის დიადი შენებლობის ტემპებს, სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყოველდღიურად მზარდ მასშტაბებს.

ასოციაციაში თავი იჩინა დაჯგუფებამ, კარჩაკეტილობამ. გაისმა ლოზუნგი „ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია“, რამაც სრულიად დააფრთხო და დაშინა შემოქმედი ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელიც ორი, რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის რკალში მოქცეული ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა საბჭოთა ცხოვრებას, მის მიერ შექმნილ მეშჩარიტებას.

პარტიამ დროზე მიაქცია ყურადღება არკ-ის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და 1932 წელს არკ-ი, როგორც სამხატვრო ორგანიზაცია, გაუქმდა.

მას შემდეგ 30 წელმა განვლო. ეს არის საბჭოთა კინემატოგრაფიის გრანდიოზულ მიღწევათა წლები, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის განუწყვეტელი ზრდის წლები.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია და მისი შესანიშნავი ოსტატები, ისევე როგორც წინათ, წლების მანძილზე ტოდამ გვერდში უდგანან საბჭოთა კინემატოგრაფიის მთლიან ოჯახში შემავალ ყველა რესპუბლიკის კინომუშაკებს და მათთან ერთად მხარდამხარ იღწიან მსოფლიო კინემატოგრაფიის დიად საბრძოლოზე.

სოციალისტური რეალიზმის სწორ გზაზე მიმავალი ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია დიდი ხანია გასცდა მშობლიურ საზღვრებს. ქართულ ფილმს უჩვენებენ დედამიწის ყოველ კუთხეში. ქართველ კინომუშაკთა ნაწარმოებნი მოწონებულნი ეროვნულ ეროვნულ ეროვნულ

როცა მის გზას გავყურებ...

ქართველ კინომუშაკთა დამფუძნებელი ყრილობის დელეგატთა შორის, სამწუხაროდ, არ არიან ის მოღვაწეები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ კინოხელოვნებას და მსოფლიოს ეკრანებზე გამოჩნდნენ. მათ მიეკუთვნებიან ცნობილი კინომოღვაწენი ნიკოლოზ შენგელაია, ივანე პერესტიანი, აღექსანდრე ფუფუნავა, სიკო ფალავანდიშვილი, მიხეილ გელოვანი და საქართველოს საამაყო კინოვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე.

რევოლუციამდე ქართულ კინემატოგრაფიას არ ჰყავდა იდეური მოღვაწეები, არ ჰქონდა თავშესაფარი. თბილისში, მტკვრის მარცხენა მხარეზე, ნახევრად დანგრეულ ქოხში ჩაეყარა საფუძველი ჩვენ არსებას — ქართულ კინოხელოვნებას. ამ პატარა ქოხში მოულოდნელად შეაღო კარი გურჯაანელმა გოგონამ ნატომ. მომავალი ვარსკვლავის ალერსიანმა თვალებმა ამ ქოხს დარბაზის ბრწყინვალება მისცა და შემოქმედებითი ცეცხლით გაათბო საბჭოთა საქართველოს პირმშო — ქართული კინოხელოვნება.

ამ დროიდან დაიწყო ნატო ვაჩნაძის მოღვაწეობა ქართულ კინემატოგრაფიაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნატომ ერთ-ერთმა პირველმა დაარწია ქართული კინოხელოვნების აკვანი.

ნატოს მადლიანმა, ნათელმა ბუნებამ მოაპოვებინა ქართველ კინომოღვაწეთა პირველ თაობას ოსტატობაც, პოპულარობაც და მრავალი გამარჯვებაც. საბჭოთა მაყურებელი მუდამ ილტვოდა ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით განმბარი ფილმების სანახავად. ნატო ყოველ ფილმში უმჯობესდებოდა როგორც მსახიობი. მისი ნიჭის ზეგავლენით ოსტატდებოდნენ რეჟისორები, ოპერატორები, მხატვრები...

ხალხის სიყვარულს იმსახურებდნენ ნატოს მონაწილეობით გამოშვებული ფილმები, ნატო იმდენად თავისთავადი ძალა იყო კინოხელოვნებისათვის, რომ მისი მონაწილეობა ფილმში ერთგვარ საზოგადო ხდებოდა ხოლმე დამდგმელი რეჟისორის ოსტატობის შესაფასებლად, ისევე როგორც ნამდვილი ხელოვანი ოქრომჭედლის მიერ სამკაულში გემოვნებით ჩასმული ძვირფასი თვალი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნატომ არა მარტო საქართველოს და საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მაყურებლის ყურადღება მიიპყრო.

კინოხელოვნების უხუცესმა რეჟისორმა ივანე პერესტიანმა განაცხადა: „ქართული კინემატოგრაფიის ეს მარგალიტი მე აღმოვაჩინეო“. ნატოს მოგონებით კი იგი შაქრო ბერიშვილს აღმოუჩენია გურჯაანში და პერესტიანისთვის მიუგზავნია. შაქრო ბერიშვილს იმთავითვე უცვნია ნატოს გარეგანი მონაცემები. ასევე მართალია პერესტიანიც, რომ ნატოს შინაგანი მსახიობური ნიჭი და ნათელი სახეთ გამოხატული ფილმები, ნატო ვაჩნაძე მსოფლიო კინოვარსკვლავად იქნა აღიარებული. მისი ციმციმი არასოდეს არ შენელებულა, მაშინაც კი, როცა კინოხელოვნებაში ბეერა, სიტყვა შემოიჭრა და მსოფლიოს ბევრი მუნჯი კინოვარსკვლავი ჩაქარო.

შემთხვევითი როდია, რომ ცნობილმა კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა თავის ხმოვან ფილმ „უკანასკნელ მასკარადში“ ნატოს მიანდო თამარის როლი, რომელიც რეჟისორის ნიერ გააზრებული იყო როგორც სიმბოლიური და უმეტესელენ სახე. ამ როლით რეჟისორმა განთქმულ მუნჯ კინოვარსკვლავს დიდი სიფრთხილით შეუდო კარი ხმოვანი ფილმის კინოატელიეში.

პირველად ნატო თანამედროვე ქართველი ქალის მთავარი როლის შესრულებულ გვევლინება რეჟისორ სიკო დოლიძის ხმოვან ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“ და თამამად განაგრძობს ამ ხასიათის როლების შესრულებას რეჟისორ ნ. შენგელაიას ფილმში — „ნარინჯის ველი“, „სამშობლო“ და „ის კიდევ დაბრუნდება“, შემდგომ რეჟისორ დავით რონდელის ფილმში „მწვერვალთა დამპყრობნი“ და სხვ.

ამ პერიოდში ნატო მთელი თავისი შემოქმედებითი მისწრაფებით იღწვის თანამედროვე ეპოქის ქართველი ქალის ტიპიური სახის შექმნისათვის.

„დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ცხოვრების ამსახველ ფილმში სახალხო მგოსნის ძიძის დამპყრობელი სახის შექმნა არა მარტო ძნელად, არამედ საინტერესო და საპატიო ამოცანად მიმაჩნდა“ — წერდა ნატო, და მსახიობის ასეთი გატაცებით როლზე მუშაობამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. ნატო განსაკუთრებულ სითბოსა და დამპყრობლობას აღწევს ფილმის „აკაკის აკვნის“ იმ სცენაში, როცა მოხუცი ძიძა მანო იუბილეზე აკაკის აკვანს მიართმევს და ეუბნება: „ეს აკვანი ბედნიერი ხისგანაა გაკეთილი, შვილო აკაკი, ამაში გაზრდილ ქალმა ძუძუ, ამაში გაგზარდე და დღეს“...

ეს როლიც ნატოს დიდი გამარჯვება იყო. ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ნატოს კინოში მოღვაწეობის 25 წლისთავი. თბილისში გამართულ საიუბილეო საღამოს მოჰყვა საღამოები და შეხვედრები საქართველოს ყველა კუთხეში. ბევრგან მხვდა წილად ბედნიერება მოწმე ვყოფილიყავი იმ უდიდესი აღტაცებისა, რომელსაც იწვევდა ნატოს გამოჩენა სცენაზე.

მართლაც რომ მხოლოდ სტიქიას და ელკინოვარსკვლავი ნატო, ჩაქრო მისი სიცოცხლე, მაგრამ ვერ გაქრო ნის მიერ შექმნილი უკვდავი სახეები.

უკვდავია ნატო ვაჩნაძე ხალხში, ქართველ კინომუშაკთა ხსოვნაში, უკვდავია როგორც მსახიობი, მეგობარი, მოქალაქე და ქართველი დედა, დიახ, დედაც...

ქართული კინოხელოვნების ცოცხალ ძიძად გვესახება დღეს ჩვენი კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე საპატიო დელეგატად წარმოდგენილი კინოვარსკვლავი ნატო, გვესმის მისი მონოლოგი: „მე ავენანას ვეღარა ვნოცრი... თქვენი ფილმები კი ისევ ახალგაზრდაა, ისევ გვატკბობენ, ისევ მღერიან“

კ. პიპინაშვილი,
რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

ეს კინოკადრები ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში ერთხელ კიდევ აცოცხლებენ ჩვენს სახელოვან ნატოს.

გული დედისა

ახლა ამ ოთახში მხოლოდ ორნი ცხოვრობენ — ბებია და შვილიშვილი, ჰაბეკობაში ფეხგადამდგარი.

ადრე კი, აი ამ ოცი წლის წინათ, ამ ოჯახში დიასახლისი სუფრის ალაგებაგაწყობას ვერ აუდიოდა, კარი მიხურვას ვერ ასწრებდა. მოგეხსენებათ დედის ხელური, როცა სახლში მორფული ვაჟკაცი ჰყავს, ტოლ-ამხანაგების მოყვარული, ხალასი და ხალისიანი.

ახლა კი რა? ახლა ამ ვაჟკაცის მხოლოდ სურათია დედის ნუგეში, კედელზე რომ ჰკიდია. სურათი ყმაწვილკაცისა, რომლის მკერდს გმირობა ახატია — ორი ორდენი.

ეს კედელია ახლა თმადათოვლილი მოხუცის მუდმივი მისახედავი.

თუ ამ დროს შეესწრები და, დედინ ნუ იდარდენ, ეტყვი, დედაშვილობას დაგიფიცებს და თავისი ქმუნის მოწილადად არ გაგიხდის.

ერთმთმანი არ ედარდობ, ისეთი საქმისათვის დაუდვია თავიო, გიპასუხებს, და წამით თვალს მილულავს, თითქოს უნდა გულს დასტური მოსთხოვოსო.

დედის გული ხომ შვილის ყველაზე საამედო საგანძურია, ყოველივეს. იქ რომ ინახავს და იცის არასოდეს დაეკარგება...

ახსოვს, როგორ არა, გუშინდელი დღესავით ახსოვს თაბარ ოცდაექვსი წლის პირმშოს, ტატიშვილს კოს გაცილება ორმოცდაორის მაისში.

გულდაგული გამოზრდილი ბიჭი მყავხარ და აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, ესეც უთხრა.

არც კი იცოდა, საით მიდიოდა. იცოდა მხოლოდ, რომ მის მიწა-წყალს, მის ცას შავი სვავები მიტაცებით დაემუქრნენ და მას დაცვა სჭირდებოდა, და აბა ვის უნდა დაეცვა, თუ არა მის შვილს, სხვის შვილს, ყველას შვილებს, ძმებს, ქმრებს, თუ კი ასეთი ოჯახში იყო.

გაცილა და თან გააყოლა დედის მომლოდინე თვალი.

...გაირბინეს დღეებმა, თვეებმა.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი კონსტანტინე ტატიშვილი თავისი გულადი ოცეულით ფრონტის ქარცეცხლში ტრიალებდა, გმირული ეპიზოდებით ამდიდრებდა ოცეულის საბრძოლო ბიოგრაფიას.

ვისაც შიში არ განუცდია, მან მამაცობის ფასი არ იცისო, ეტყოდა თავის ლომგულებს და მტერს ასაკაფავად ხან აქ მიუხტებოდა, ხან იქ.

ჯარისკაცული სამკუთხა ბარათებით სიხარული მოფრინავდა ფრონტის წინა ხაზიდან.

ოცი წლის შემდეგ

დედა კი კითხულობდა მათ მეხუთეჯერ... მეათეჯერ, გვიან ღამემდე, თითქმის განთიადამდე.

„დასავლეთის ფრონტზე გერმანელებს დიდ ზიანს აყენებს ჩვენი წითელი არმია და სულ მალე ალბათ გაიგებთ, რომ მთლიანად გავრეკეთ მტერი ჩვენი სოფლებიდან და ქალაქებიდან“ — აღტაცებით სწერდა ორმოცდასამის იელისში უკვე წითელი ვარსკვლავის ორდენით მკერდდამშვენებული შვილი დედას.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო წინ მიიწევდა ფრონტის ხაზი და თბილისში, საბჭოს ქუჩაზე მდებარე ერთ მყუდრო სახლში ომგადახდილ ვაჟკაცთან შეხვედრის იმედი მით უფრო რეალური ხდებოდა.

მალე კონსტანტინეს სამამულო ომის ემერთმანი არ ედარდობ, ისეთი საქმისათვის დაუდვია თავიო, გიპასუხებს, და წამით თვალს მილულავს, თითქოს უნდა გულს დასტური მოსთხოვოსო.

ბანოს, როგორ არა, ბაბილაშვილი, ეს ერთი კვირაა მომიკლა ვერაგმა მტერმა და ეცდილობ მისი სიცოცხლე ერთიათად ავიღო“. სწერდა სინანულით, და ამავე დროს მტრის სიძულვილით ანთებული კონსტანტინე დედას.

ათას ცხრაას ორმოცდაოთხის ოქტომბერში თავბრუდამხვევმა დარტყმებმა მტერი ბალტიისპირეთში გადააგდო. გერმანელებმა მარწუხი მწვავედ იგრძნეს, გაშმაგდნენ. დაბა ქიგანაცეს რაიონში მტრის ქვეითი პოლკი ოცდაათი ტანკით ფლანგებდაცული კონტრშეტევაზე გადავიდა ბატალიონის წინააღმდეგ, სადაც გვარდიის კაპიტანი კონსტანტინე ტატიშვილი იბრძოდა.

დაცვის მარცხენა ფლანგზე განსაკუთრებით მოჯარბებდნენ გერმანელები. ბრძოლას აშკარად უთანასწორო პირი უჩანდა. ბატალიონის უფროსმა იცოდა, იქ ვინც გამოდგებოდა, და არც შემცდარა.

ამ ფლანგზე ბრძოლა კონსტანტინემ ჩაობარა. პირადი მამაცობისა და განაყოფების სტრატეგიული მანევრებით მტერს უკან დაახევინეს და ოთხმოცდაათი გერმანელიც შეიწირეს.

ამ მამაცობისათვის იგი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, შეეპოვარმა კაპიტანმა ეს ორდენი ვერ იხილა თავის მკერდზე.

გათავდა... გადიოდა დღეები, მაგრამ დედის სანუგეშებლად ფოსტალიონს ალაყაფის კარი აღარ გადმოუბიჯებია.

დედამ ვეღარ მოილოდინა შვილის წერილი.

ერთი თვეც არ იყო გასული იმ ბრძოლიდან, რომ შეატყობინეს, ერთ-ერთი პასუხსაგები დაკალების შესრულების დროს გმირულად დაიღუპაო.

...თვრამეტმა ვარდობის თვემ იყვავილა ჩვენს მიწაზე მას შემდეგ.

ქვეყანამ, ხალხმა მოიშუშა ყველა ნაჭრილობები. ომგადახდილმა ბევრმა ომმდეგნო თაობებმაც მოჰკიდეს ხელი ახალი ცხოვრების შენებას...

და აი ამ ორიოდე დღის წინ საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატში მოვიდა ბრძანება ოერამეტი წლის წინათ კონსტანტინე ტატიშვილისათვის მინიჭებული ორდენის მისი ოჯახისათვის გადაცემის თაობაზე.

ომში შვილდაკარგულ სახელოვან დედას სახედრო ტანსაცმლიანი სტუმრები ეწვევნენ და მას გულს სიხარულისა და სევდაყის კიდევ ერთი გრძნობა შემატეს.

ესეც შვილს ეკუთვნოდა.

მაგიდაზე დადებულ თავგადასახლილ სისხლისფერ ყუთში ორდენი ბზინავდა.

დედის თვალმა იგი ყუთიდან ფაქიზად ამოიღო, შვილის სურათს სიყვარულით მოუალერსა და ვაჟკაცურ მკერდზე მესამე ორდენი დაკიდა...

წამით მოზღვავებული სევდა ცრემლებად აიკინძა და ცრემლში გაქრა სურათი...

გონებაში კი აშრიალდნენ მოგონებათა ფურცლები.

თითქოს გაცოცხლდაო მისი ვაჟკაცი — სამი ორდენით მკერდზე და ასგთი იქნება იგი მისთვის მუდამ.

შვილს უკვდავებას ხედავდა დედა.

საოცარია, რას არ დაიტევს გული დედისა.

გ. სამსონაძე.

* * *

სურათზე: საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტ-განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი მ. იაშვილი სამამულო ომში დაღუპული შვილის ორდენს გადასცემს თამარ ტატიშვილს.

აქვე არიან სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლები პოდპოლკოვნიკი ა. გოგობერიშვილი (მარჯვნიდან მეორე) და მაიორი მ. გოგიჩაიშვილი, აგრეთვე თ. ტატიშვილის შვილიშვილი თეიმურაზ ტატიშვილი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

პრემიერა ვეშენსკაიაში

„როცა კაზაკები ტირიან“

9 იანვარს სტანიცა ვეშენსკაიაში გაიმართა საზოგადოებრივი გასინჯვა სვერდლოვსკის სტუდიის ახალი კინოკომედიისა“ **როცა კაზაკები ტირიან“**, რომელიც შექმნილია **მიხეილ შოლოხოვის** „დონური მოთხრობების“ მოტივებზე. სტანიცელები, აგრეთვე მასწავლებლები,- რომლებიც ვეშენსკაიაში თავიანთ ჩვეულებრივ სარაიონო კონფერენციაზე შეიკრიბნენ, გულთბილად შეხვდნენ მსახიობ **ევგენი მორგუნოვის** პირველ რეჟისორულ ნამუშევარს.

ფილმში გადაღებული არიან მსახიობები ა. გრეჩანი, გ. სვეტლანი, ე. ცესარსკაია, ლ. იუდინა, ნ. გორლოვი, ი. მურზაევა და სხვები. მიხეილ შოლოხოვის წიგნები უკვე დიდიხანია ასაზრდოებენ კომპოზიტორ ივანე ძერჟინსკის შემოქმედებით ფანტაზიას. ამჯერადაც მან სიამოვნებით იკისრა მუსიკის დაწერა ამ ფილმისათვის.

ვეშენსკელებთან ერთად ახალი კინოკომედია ნახა მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვმა და მისმა ოჯახმა.

„იზვესტია“.

ხმა იდუმალი

მკითხველის ფელეტონი

— **გამარჯობა** შენი, მოქალაქე მეერთომეე!

ქერიმ რაგიმოვმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ კაბინეტში მის მეტი არავინ იყო.

— ხომ არ შეგეშინდა? — განაგრძობდა იდუმალი ხმა. — ალბათ სასამართლოში წარმოიდგინე თავი, არა? ნუ გეშინია, ჯერ-ჯერობით შენს კაბინეტში ზიხარ, შენს სკამზე, ჯერაც ცეკავშირის მარნეულის აეტოსატანსპორტო კანტორის დირექტორი ხარ და ქრთამის აღებაც შეგიძლია განაგრძო. მართალია, ქრთამად აღებული ფულით სასახლე აიშენე და მუზეუმივით მოაწყე. მაგრამ მეტი სიმდიდრე და ქონება ვის მოსჭარბებია.

ოღონდ ფრთხილად უნდა იყო! ხომ იცი, ახლა როგორ სასტიკად სჯიან ქრთამისათვის. სჯიან მიმცემსაც. შუამავალსაც და ამღებსაც. გაძნელდა, ძმაო, ახლა ქრთამის აღება. მართალია, შენ ამ საქმეში დიდი გამოცდილება გაქვს. ბევრჯერ აგიღია ქრთამი შენი თანამშრომლებისაგან. აგერ ახლა არ იყო, ქემალ ბაკირიევს და ალიევს სამას-სამასი მანეთი რომ ააფცქვენი? არც გაჯიევი, ჰუსეინოვი და სხვები შეებრალე და ხახვივითაც შეგრჩა, მაგრამ ისიც გაიხსენე, რომ ამაზე ბევრი მღელვარებაც შეგხვდა, რადგან ეს ამბავი გახმაურდა. ახლა ძველი მეთოდით მუშაობა არ გამოგადგება. მეტი სიფრთხილე, მეტი კონსპირაციულობა გმართებს. უნდა შეცვალო ტაქტიკა. კაბინეტში რომ გამოიძახებ შენს ხელქვეითს, მაგალითად, რომელიმე მძღოლს, ეთქვათ გარსევანს, აი როგორ უნდა დაუწყო ლაპარაკი (გახსოვდეს, სიტყვა ქრთამი ერთხელაც არ უნდა ახსენო).

გარსევანი: — შეიძლება, ქერიმ ოღლი?!

შენ:— (ფეხზე ადექი) მოდი, ბიჭო, რას მეკითხები?

გარსევანი: — რას გეობრძანებინ?

შენ: — მითხრეს, სამუშაოზე ერთგულებას იჩენსო. მიყვარს ერთგული მუშაკი.

გარსევანი: — რაც შემიძლია, ვცდილობ!

შენ: — ძალიან კარგი. არა, შენ ერიგო კაცი არა ხარ, მაგრამ, ამბობენ, ხალტურაზე ამუშავებს სახელმწიფო მანქანასო. აბა! შენ გგონია, რამე დიმალება?

გარსევანი: — რა ვქნა, ბატონო, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი კაცი ვარ.

შენ: მერე, შე მამაცხონებულო, შენი ცოლ-შვილის მეტმა ჭამა არ იცის თუ?... აი, მე თქვენი დირექტორი ვარ, და ჩემს სახლში რომ მოხვიდე, გამლანძღავ, მორიგეობით ვჯდებით სამუშაზე ოჯახის წევრები. თანაც ვალებში ვარ ჩაფლული. შარშან დღეობა რომ გადავიხადე, ორი ათასი ვასესხე. დღესვე უნდა ვუშოვნო მეკვლეს.

გარსევანი: (მცირე პაუზის შემდეგ) მე მოგიხერხებდით, ბაბა ქერიმ.

შენ: — თუ გაკვს საშუალება, მოახერხე ხვალისათვის, ოღონდ სესახდ... კარგად იყავი. (ხელი გაუწოდე ისე, რომ თვალებში არ შეხედო).

ამის შემდეგ ფული მოგიგია გარსევანის ხელით. ფულის შეკვრას რომ ამოიღებს, არ გაიღიმო, მოიტეხული სახე მიიღე, ფული სეიფში შეინახე და დაეტისას თქვი:

— კაცმა კაცის გაპირვება ნამდვილად არ იცის.

სულ მალე შენს საკუთარ ცოლს ანონიმური წერილი დაწერინე მარცხენა ხელით. შიგ ეწეროს: ბაშას თავისმა ხელქვეითმა გარსევანმა ქრთამი მისცაო. გამოიძახე გარსევანი, უთხარი, რომ ეს „ის კიდევ დაბრუნდება“, შემდგომ რეჟისორ დავით რონდელის ფილმში „მწვერვალთა დამპყრობნი“ და სხვ.

ამ პერიოდში ნატო მთელი თავისი შემოქმედებითი მისწრაფებით იღწვის თანამედროვე ეპოქის ქართველი ქალის ტიპიური სახის შექმნისათვის.

„დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ცხოვრების ამსახველ ფილმში სახალხო მგოსნის ძიძის დამპყრობელი სახის შექმნა არა მარტო ძნელად, არამედ საინტერესო და საპატიო ამოცანად მიმაჩნდა“ — წერდა ნატო, და მსახიობის ასეთი გატაცებით როლზე მუშაობამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. ნატო განსაკუთრებულ სითბოსა და დამპყრობლობას აღწევს ფილმის „აკაკის აკვნის“ იმ სცენაში, როცა მოხუცი ძიძა მანო იუბილეზე აკაკის აკვანს მიართმევს და ეუბნება: „ეს აკვანი ბედნიერი ხისგანაა გაკეთილი, შვილო აკაკი, ამაში გაზრდილ ქალმა ძუძუ, ამაში გაგზარდე და დღეს“...

ეს როლიც ნატოს დიდი გამარჯვება იყო. ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ნატოს კინოში მოღვაწეობის 25 წლისთავი. თბილისში გამართულ საიუბილეო საღამოს მოჰყვა საღამოები და შეხვედრები საქართველოს ყველა კუთხეში. ბევრგან მხვდა წილად ბედნიერება მოწმე ვყოფილიყავი იმ უდიდესი აღტაცებისა, რომელსაც იწვევდა ნატოს გამოჩენა სცენაზე.

მართლაც რომ მხოლოდ სტიქიას და ელკინოვარსკვლავი ნატო, ჩაქრო მისი სიცოცხლე, მაგრამ ვერ გაქრო ნის მიერ შექმნილი უკვდავი სახეები.

უკვდავია ნატო ვაჩნაძე ხალხში, ქართველ კინომუშაკთა ხსოვნაში, უკვდავია როგორც მსახიობი, მეგობარი, მოქალაქე და ქართველი დედა, დიახ, დედაც...

ქართული კინოხელოვნების ცოცხალ ძიძად გვესახება დღეს ჩვენი კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე საპატიო დელეგატად წარმოდგენილი კინოვარსკვლავი ნატო, გვესმის მისი მონოლოგი: „მე ავენანას ვეღარა ვნოცრი... თქვენი ფილმები კი ისევ ახალგაზრდაა, ისევ გვატკბობენ, ისევ მღერიან“

კ. პიპინაშვილი,
რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

ეს კინოკადრები ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში ერთხელ კიდევ აცოცხლებენ ჩვენს სახელოვან ნატოს.

ამამაცი მონადირე

ყვარელი. (საკ. კორ.). ალექსი ხუციურაული ერთ-ერთი მოწინავე მეველეა და გრემის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობას კარგი მუშაობისათვის ბევრჯერ გამოუცხადებია მისთვის მადლობა.

კვირაში ერთხელ ალექსი მეველედ თავისი ოჯახის წევრებს გზავნის, თვითონ კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე სანადაროდ მიეუურება. ხუციურაული მოკლულ ნადირთა რიცხვს უბის წიგნაკში ინიშნავს, განვლილ წლებს მონადირემ ჯამი გაუკეთა, 33 დათვი, 12 მგელი, 24 ტურა, 37 მელა, კვერნა, კატა და სხვა — აი მისი ნადავლი. ამას წინათ დათვის ხორცით დატვირთული ხუციურაული უღრანი ტყიდან შინ ბრუნდებოდა. ხევიდან ხმაური შემოესმა. მალე ვეებერთელა დათვიც გამოჩნდა. ათი მეტრის მანძილზე მიუშვა და ჩახმახს გამოჰკრა, მაგრამ თოფმა უმტყუნა. გამძვინვარებული მხეცი მონადირეს ეძგერა. ხუციურაულმა ხანჯალი იშიშვლა და დათვს შეერკინა. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა — განგმირული ნადირი ფერდობზე დაგორდა.

ყვარელი. (საკ. კორ.). ალექსი ხუციურაული ერთ-ერთი მოწინავე მეველეა და გრემის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობას კარგი მუშაობისათვის ბევრჯერ გამოუცხადებია მისთვის მადლობა.

კვირაში ერთხელ ალექსი მეველედ თავისი ოჯახის წევრებს გზავნის, თვითონ კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე სანადაროდ მიეუურება. ხუციურაული მოკლულ ნადირთა რიცხვს უბის წიგნაკში ინიშნავს, განვლილ წლებს მონადირემ ჯამი გაუკეთა, 33 დათვი, 12 მგელი, 24 ტურა, 37 მელა, კვერნა, კატა და სხვა — აი მისი ნადავლი. ამას წინათ დათვის ხორცით დატვირთული ხუციურაული უღრანი ტყიდან შინ ბრუნდებოდა. ხევიდან ხმაური შემოესმა. მალე ვეებერთელა დათვიც გამოჩნდა. ათი მეტრის მანძილზე მიუშვა და ჩახმახს გამოჰკრა, მაგრამ თოფმა უმტყუნა. გამძვინვარებული მხეცი მონადირეს ეძგერა. ხუციურაულმა ხანჯალი იშიშვლა და დათვს შეერკინა. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა — განგმირული ნადირი ფერდობზე დაგორდა.

ნაკრებთა რეკორდსმენები

მსოფლიოში თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ეროვნულ ნაკრებში ასი და მეტი მატჩი უთამაშნიათ. ესენი არიან საყოველთაოდ აღიარებული სპორტსმენები, რომლებსაც ნაკრებთა რეკორდსმენებს უწოდებენ.

აქ დავასახელებთ პირველ ხუთეულს—

ბ. რაიტი (ინგლისი), მან ამ ქვეყნის ნაკრებში ითამაშა 105-ჯერ; ნორვეგიელი ტ. სვენსენი გამოვიდა 102 მატჩში, უნგრელი ბოიკი — 100 შეხვედრაში, ავსტრიელი გ. ჰანაპი — 91 ასპარეზობაში, უნგრელი დ. გროშიჩი — 89 შეჯიბრებაში. აღსანიშნავია, რომ ესენი არიან დაცვითი ხაზების მოთამაშეები, რომელთა „ცხოვრების“ ხანგრძლივობა საფეხბურთო მოედანზე ყოველთვის მეტია.

რამდენიმე სტრიქონით

☐ **ბარსელონა** დიდი ფეხბურთის მოწმე იყო. აქ 65.000 მაყურებელი ესწრებოდა ესპანეთისა და საფრანგეთის ეროვნული ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრას. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

☐ **მალე** ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყობა ამ ქვეყნის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში, რომელიც შედგება ნიუ-იორკისა და ლოს-ანჯელესის დახურულ სტადიონებზე. საბჭოთა მძლეოსნებიდან ჩემპიონატში გამოვლენ ვალერი ბრუმელი, იგორ ტერ-ოვანესიანი და ვალერი ბულიჩევი.

დაუმარცხებელი არავინ დარჩა

გასული წლის შედეგების მიხედვით ევროპაში დაუმარცხებელი არ დარჩენილა არც ერთი ნაკრები. ეს ბრძოლის დიდ სიმწვავეზე მეტყველებს. ყველაზე მეტი მატჩი (თორმეტ-თორმეტი) ჩაატარეს უნგრელებმა და იუგოსლავიელებმა. უნგრელებმა მოიგეს 8 შეხვედრა, 2 წააგეს და ამდენივე ფრედ დაამთავრეს ბურთების საუცხოო შეფარდებით 23:10. იუგოსლავიელებმა 12 თამაშიდან 7 მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და 4 წააგეს ბურთების შეფარდებით 26:17.

ძალთა რა თანაფარდობა არსებობს ევროპის გუნდებს შორის გასული წლის შედეგების მიხედვით?

ცნობილ პოლონელ სპეციალისტს გ. ალექსანდროვიჩს თუ დავუჯერებთ, პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, როგორც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს.



ორი ლიდერი

დამთავრდა თბილისის საუადრაკო ჩემპიონატის პირველი ნახევარი და მისი მონაწილეები ჩაებნენ ბრძოლის დასკვნით ეტაპში.

9 ტურის შემდეგ ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან ოსტატობის კანდიდატები **გ. კალატოზიშვილი** და **ი. ჩიკოვანი**, რომლებსაც ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა აქვთ. **ო. ელიოზიშვილს** — 6 ქულა, **ჰ. არნშტეინს, გ. მაჰავარიანსა** და **ა. იზვოზჩიკოვს** — ხუთნახევარი ქულა თვითეულს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

13 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი) — მადლობა გაზაფხულისათვის, **ამირანი, ნაკადული** — — უჩინარი იანი, **ისანი, კოლხიდა, გაზაფხული** სამი მუშკეტერი (I სერია), **სპარტაკი**—ყველაზე პატარა მაწანწალა, **თბილისი**—ხოელ ფორტუნა, **კომკავშირელი** — ყველაფერი ევას შესახებ, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) —სომხური კინოკომედიების პროგრამა, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), — ოდისეევსის მოგზაურობა, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — შამაცი ადამიანები.



13 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ჩხიკვთა ქორწილი (დღისით), ვეფხვის ტყა (საღამოს მე-2 აბონ. მე-5 სპექტ.), **რუსთაველის სახელობის** — ბახტრიონი (დღისით მე-5 აბონ. მე-2 სპექტ.), ზღვის შვილები (საღამოს აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — რომეო და ჯულიეტა (დღისით 23-ე აბონ. მე-2 სპექტ.), მე ვხედავ ზზეს (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — წეს-გარეშე თამაში (დღისით), ხედი ხიდიდან (საღამოს).



13 იანვარი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — მხატვრული ფილმი „ძველი მკვიდრი“, 13.35 — ქართული ენის გაკვეთილი, 14.05— რუსული ენის გაკვეთილი, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „კ. სტანისლავსკი“ (დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად), 18.50 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 19.50 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.10 — კინონარკვევი, 20.50 — საესტრადო კონცერტი, 21.15 — მხატვრული ფილმი „ხანგრძლივი განშორების შემდეგ“.

14 იანვარი

18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — გადაცემა უფროსკლასელთათვის ციკლიდან — „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება“ — შლიმანი, 18.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.40 — გადაცემა — „მიზეზი და შედეგი“, 20.00 — გადაცემა — „კარიკატურისტი გივი ლომიძე“. 20.45 — კინონარკვევი, 20.55 — კვირის ამბები (რუსულ ენაზე), 21.10 — მხატვრული ფილმი „რეპორტაჟი სახრჩობელადან“.



პირველი პროგრამით

14 იანვარი

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.15 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.10 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებ ე ბ ი, 11.15 — კონცერტი ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან, 12.00 — საუბარი — „პარტიის მიერ დასახული გზა ლენინური გზაა“, 12.15 ს. ცინცაძის კამერული მუსიკა, 13.40 — ხოლმინოვი. სიმფონიური პოემა „ქარაშხლით შობილნი“, 17.15 — ჰ. ვედონიცკის სიმღერები, 17.35— გადაცემა „ოსნურ ავლეთათვის. ნარკვევი „თავდაყირა“, 18.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 18.15 — ოსური მუსიკის კონცერტი, 18.45 — ლირიკული სიმღერები კინოფილმებიდან, 19.30 — მიმოხილვა — „ასპის სამრეწველო საწარმოო ზონაში“, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — ბერლიოზი. ფანტასტიკური სიმფონია, 21.30 — გადაცემა— „დიდი ხელოვანი კ. სტანისლავსკი“, 23.30 — ი. შტრაუსის საოპერეტო მუსიკა.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.